# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-579

ქ. თბილისი "10" 11 2010 წ.

საქართველოს თვითმართველი ქალაქ რუსთავის მერიის მიერ წარმოდგენილ მყარი არასახიფათო და მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №81; 06.11.2010წ ქ. რუსთავის მახლობლად მყარი არასახიფათო მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. თვითმართველმა ქ. რუსთავის მერიამ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს თვითმართველი ქალაქ რუსთავის მერიას
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №81; 06.11.2010წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

**ეგზავნება:** ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, თვითმართველი ქალაქ რუსთავის მერიას